

საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს
სახელმწიფო უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

მესაბლიშვილი დალი

მსახიობის ოსტატობის სწავლების მეთოდოლოგიის საკითხისათვის
ბავშვთა და მოზარდთა შემოქმედებითი განვითარების კონტექსტში

საშემსრულებლო-შემოქმედებითი ხელოვნება, შემოქმედებითი პედაგოგიკა,
სადოქტორო პროგრამა: „მსახიობის საშემსრულებლო ხელოვნება“

ხელოვნების დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი
დისერტაციის

ავტორეფერატი

ხელმძღვანელი: ასოც. პროფესორი დიმიტრი ხვთისიაშვილი
კონსულტანტი: ასოც. პროფესორი მარინა ხარატიშვილი

თბილისი

2022 წ.

ნაშრომის ზოგადი დახასიათება სადისერტაციო თემის აქტუალობა

გამოწვევები, რომელიც საბავშვო თეატრის მიმართულებით წამოწყებული შემოქმედებითი საქმიანობის საწყის ეტაპზე, ჯერ კიდევ 1993 წლიდან დავისახე, ევოლუციური პროგრესის ფონზე, სულ უფრო აქტუალური და საჭირო ხდებოდა, რამაც მიზიდავა საკუთარი თავი კიდევ უფრო ახალი გამოწვევების წინაშე დამეყენებინა. ამან განაპირობა ის, რომ ამბიციური მიზნები და ამოცანები დავისახე. შემოქმედებით პროცესს კიდევ უფრო სხვა ელფერი შევძინე. შევეცადე შემექმნა იმგვარი ფორმები, რომელიც მაქსიმალურად ასახავდა და უპასუხებდა თეატრის უმთავრეს დანიშნულებას, რაც თამაშით გართობასა და შეფარულად აღზრდაში მდგომარეობს. ეს კონცეფტი დღეს სულ უფრო მეტ საჭიროებასა და აქტუალობას იძენს, რადგან თანამედროვე მსოფლიოში განვითარებულმა სოციალურმა თუ პოლიტიკურმა მოვლენებმა, მიმდინარე ევოლუციურმა პროგრესმა, ერთ-ერთ ფაქტორად მოზარდის კომპიუტერსა და სხვადასხვა გაჯეტებზე მიჯაჭვულობა და მასში ფსიქოემოციური დამოკიდებულების ჭარბად ჩამოყალიბება განაპირობა. ამან, თავის მხრივ, მოზარდი ალტერნატიული და დაუბალანსებელი ინფორმაციული ნაკადის პირისპირ აღმოაჩინა, რასაც, უმეტესწილად, ღირებულებითი ნიშნებისა და მორალურ-ეთიკური მდგენელისაგან დაცლილი, სხვადასხვაგვარი შინაარსი ახასიათებს. ამგვარი სახისა თუ შინაარსის გავლენები, თავის მხრივ, მოზარდის ფაქიზ და ჩამოყალიბების პროცესში არსებულ ფსიქოემოციურ მდგომარეობაზე, მის ბუნებაზე, განწყობებსა თუ აღქმებზე საფრთხის შემცველ გავლენებს ახდენს, რაც, კომპლექსურად, შედეგობრივ ასახვას ჰპოვებს და ხელისშემშლელ გარემოებად ევლინება მისი ჯანსაღი სოციალიზაციისა და მდგრადი განვითარების პროცესს, საფრთხეს უქმნის სულიერი განვითარების პროცესში სწორ მიმართებათა დამყარებას, მის მორალურ-ეთიკური და ღირებულებითი ნაკადით ავსებას. ასევე, მასში ორგანულად ჩასახული,

თანდაყოლილი ნიჭის გამოვლენა-განვითარებას, საკუთარი თავის შეცნობასა და შემეცნებას.

შექმნილმა რეალობამ არაერთი გამოწვევის წინაშე დაგვაყენა, მათ შორის, განათლებისა და კულტურის სფეროები, საადმზრდელი დაწესებულებები. ილიას სიტყვებს თუ დავესესხებით, თეატრი იგივე სკოლაა, რომელიც ღრმად მოქმედებს ადამიანის გრძნობასა და შემეცნებაზე, საკუთარი მახასიათებლებითა და თვისებრივ-სპეციფიკურ მდგენელთა ერთობლიობით, იგი ობიექტურად ქმნის კეთილმოყვულ პირობებს და მასთან თანაზიარების შემთხვევაში, რეალურ შესაძლებლობას იძლევა ეფექტურად განხორციელდეს მოზარდის მორალურ-ეთიკური, ესთეტიკური და ინტელექტუალური ნაკადით ავსება მისი ზნეობრივი აღზრდის, შემოქმედებითი განვითარებისა და სოციალიზაციის მიზნით წარმართულ პროცესებში.

წინამდებარე ნაშრომი სწორედ აღნიშნულ მიმართებათა ჭრილში შეიქმნა, რომელსაც კვლევისა და გამოცდილების შესწავლის საფუძველზე მეცნიერულად ჩამოყალიბებული სახე მიეცა, რომელიც ითვალისწინებს და ეყრდნობა განათლების თანამედროვე პოლიტიკის ძირითად პრინციპებს, ეფუძნება შემოქმედებითი პედაგოგიკის მონაცემებს, იყენებს სწავლების თანამედროვე მეთოდებს.

) **წინამდებარე ნაშრომი მიზნად ისახავს** სამსახიობო ხელოვნება წარმოჩინდეს როგორც მოზარდის ზნეობრივი აღზრდის, შემოქმედებითი განვითარებისა და სოციალიზაციის საშუალებად. მკაფიოდ განისაზღვროს მოზარდისათვის სათეატრო ხელოვნების როლი და მნიშვნელობა ანალიტიკურ-კრიტიკული აზროვნების, ემოციური განათლებისა და მორალურ-ეთიკური განვითარების, შემეცნებითი აღქმისა და ესთეტიკური აღზრდის მიმართულებათა ფორმირების ჭრილში, ეროვნული იდენტობის, ცოდნის, უნარ-ჩვევების, ღირებულებითი და სოციალური კომპეტენციების გასაუმჯობესებლად.

) **ნაშრომის ამოცანაა** სათეატრო ხელოვნების ფუძემდებლური პრინციპების განათლების თანამედროვე პოლიტიკის ძირითად პრინციპებთან და სწავლების თანამედროვე მეთოდებთან შერწყმა; შემოქმედებითი პედაგოგიკის მონაცემებზე

დაფუძნებით იმგვარი მოდელის შემუშავება-შექმნა, რომელიც განაპირობებს და უზრუნველყოფს პროგრესული განათლების გზითა და სათეატრო ხელოვნების საშუალებით მოზარდის ზნეობრივი აღზრდის, შემოქმედებითი განვითარებისა და სოციალიზაციის პროცესის ხელშეწყობას, ფორმირებას.

) **ნაშრომის საგანს** წარმოადგენს ინტერდისციპლინური სწავლების პროგრამა, რომელიც ეფუძნება შემოქმედებითი პედაგოგიკის ძირითად პრინციპებს, სათეატრო ხელოვნების კომპონენტებს, მსახიობის ოსტატობის ელემენტებს. მეთოდურად ერწყმის და აერთიანებს თანამედროვე ფუნდამენტური პედაგოგიკის იმ კონცეფციებს, რომელიც პრიორიტეტს ანიჭებს ფილოსოფიის, ფსიქოლოგიისა და სხვა მეცნიერებათა მონაცემებს, რაც შედეგობრივად განსაზღვრავს მოზარდის ზნეობრივი აღზრდის, შემოქმედებითი განვითარებისა და სოციალიზაციის მიზნით დაგეგმილ პროცესს.

) **ნაშრომის ობიექტს** წარმოადგენს სტუდია, რომლის აღსაზრდელები არიან ბავშვები და მოზარდები, რომელთა ზნეობრივი აღზრდა, შემოქმედებითი განვითარება და სოციალიზაცია, წინამდებარე მეთოდოლოგიით მათ საზოგადოებრივ ცნობიერებაში ჩართვას, ინდივიდუალური აქტივობის მოწესრიგებასა და სოციალური რეკონსტრუქციის პროცესს ემსახურება.

აღნიშნული მეთოდოლოგიის პრინციპებზე დაფუძნებით, მოზარდში პიროვნული კომპეტენციების სრულყოფის ჩამოსაყალიბებლად, სტუდიაში სხვადასხვა დროს დაიდგა სპექტაკლები. სპექტაკლებზე მუშაობამ ცხადად გამოავლინა შეგირდებთან ამ მეთოდოლოგიით წარმართული და განხორციელებული აქტივობების ეფექტურობა. ასევე, მკაფიოდ წარმოჩინდა ის შემოქმედებით-პედაგოგიური კონცეფციები, რომელიც შემუშავდა წინამდებარე ნაშრომში დასახული მიზნებისა და ამოცანების განსახორციელებლად. ამ სპექტაკლების გარკვეული ეპიზოდები, ნაშრომს შემოქმედებით-ვიზუალური მასალის სახით დაერთო.

) **ნაშრომის სიახლეა** - საკუთარი გამოცდლებისა და საკითხის კომპლექსურად შესწავლის საფუძველზე, სათეატრო ხელოვნებისა და მსახიობის პედაგოგიკის ფუძემდებლური პრინციპების ინტერდისციპლინურ მეცნიერებათა კვებაში

გამოყენება; მიღებული კორელატის პროგრესული განათლების პრინციპებზე დაფუძნება; მოზარდთათვის, ამ გზით შემუშავებულ მეთოდოლოგიაზე დაფუძნებული, პიროვნებაზე ორიენტირებული საადმზდელო-შემოქმედებითი პროცესის შეთავაზება, რომლის შინაარსი კლასიფიცირებულია შემდეგ მიმართულებებად:

1. ეროვნული იდენტობა;
2. მორალურ-ეთიკური კომპეტენციები;
3. ტოლერანტობა, ემპათია;
4. ემოციური განათლება და განვითარება;
5. ასტერულობა, მეტაკოგნიცია, სოციალური კოგნიცია;
6. საზოგადოებრივ ცნობიერებაში ჩართვა, ინდივიდუალური აქტივობის მოწესრიგება, სოციალური რეკონსტრუქციის პროცესი;
7. ანალიტიკური/კრიტიკული აზროვნება, რეფლექსია;
8. შემეცნებითი აღქმისა და ესთეტიკური აღზრდის ფორმირება.

ჩატარებულმა კვლევამ ცხადყო ამ მიმართულებათა და სათეატრო ხელოვნების ფუძემდებლურ პრინციპთა თვისებრივი მსგავსება, რამაც საფუძველი შექმნა, აღნიშნული ასპექტები განხორციელებულიყო სათეატრო ხელოვნების სუბსტანციად. შესაბამისად, შემოქმედებით პროცესში მოხდა მათი სისტემატიზება, კორელაცია, ბავშვებთან და მოზარდებთან მიზნობრივი გამოყენება.

) ძირითადი შედეგები

1. წინამდებარე ნაშრომით, საკითხის კომპლექსურად შესწავლა და პრაქტიკაში დანერგვა ინტერდისციპლინურ მეცნიერებათა კვეთაში მოხდა.
2. შემოქმედებითი პროცესის წარმართვის შედეგად შეგირდებმა განიცადეს სულიერი კომფორტი, თავისუფლება, დამოუკიდებლობა, ემოციური მდგრადობა. დაძლიეს გარკვეული კომპლექსები. მიეცათ საკუთარი თავის სხვადასხვა მიმართულებით მოსინჯვის, დაფარული უნარების აღმოჩენის, გამოვლენის, ზნეობრივი და გონებრივი განვითარების შესაძლებლობა,

- რამაც ხელი შეუწყო სოციალიზაციის პროცესში მნიშვნელოვნად პოზიტიური შედეგების წარმოჩინებას.
3. თანაგუნდელებმა შემოქმედებითი პროცესები შეაფასეს მეტად პოზიტიურად. ამასთანავე, მიიჩნიეს პროფესიული უნარ-ჩვევებისა და კომპეტენციების განვითარების, გაღრმავების, განმტკიცების კარგ შესაძლებლობად.
 4. შეგირდების მშობლების შეფასებით, 21-ე საუკუნეში არსებული სოციალურ-ტექნოლოგიური გამოწვევების ფონზე, მოზარდში ეროვნული იდენტობის წარმოჩენისათვის, მისი ესთეტიკური, მორალურ-ეთიკური და ინტელექტუალური აღზრდის უზრუნველსაყოფად, მეთოდოლოგიის ეს სახეობა და ასეთი ტიპის სტუდიამ რეალურად შექმნა კეთილმყოფელი პირობები.
 5. საზოგადოების გარკვეული ნაწილის მოსაზრებით, წინამდებარე მეთოდოლოგია მოზარდის ზნეობრივი აღზრდის, შემოქმედებითი განვითარებისა და სოციალიზაციის კუთხით, მოდიფიცირებულ და ახალ პერსპექტივებს ხსნის, რაც თანამედროვე პედაგოგიკის დარგში, შეიძლება ერთგვარ ნოვაციად ჩაითვალოს. ამასთანავე, გამოთქვამენ სურვილს და რჩევის სახით აფიქსირებენ, რომ მეთოდოლოგიის ეს სახეობა მოზარდთათვის მაქსიმალურად წვდომადი გახდეს.
 6. ნაშრომი ხელს შეუწყობს არაფორმალური განათლების სეგმენტში ჩართულ პირებს, მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლებსა და სასახლეებში მომუშავე მასწავლებლებს, სახელმწიფო თუ კერძო სტრუქტურის დაქვემდებარებაში არსებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების პედაგოგებს, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებსა და სოციალურ მუშაკებს სააღმზრდელო მუშაობის წარმართვაში და უფრო მრავალფეროვანსა და ეფექტურს გახდის მას.

ნაშრომის შინაარსი

შესავალ ნაწილში დასმულია მოზარდის სულიერი, ზნეობრივი და პიროვნული განვითარების პრობლემა, რამაც თანამედროვე მსოფლიოში მიმდინარე სოციალურ-პოლიტიკური პროცესებისა და ევოლუციური განვითარების ფონზე, საგანგებო მნიშვნელობა შეიძინა და თავის მხრივ, წინამდებარე ნაშრომის მიზნები და ამოცანები განსაზღვრა.

ნაშრომი წარმოადგენს საკითხის კომპლექსური შესწავლის საფუძველზე, სათეატრო ხელოვნების სპეციფიკაზე დაფუძნებით, მისი ფუნქციონალური პრინციპებისა და მსახიობის პედაგოგიკის ინტერდისციპლინურ მეცნიერებათა კვებაში გამოყენებული კორელატის, პროგრესული განათლების პრინციპებზე დაფუძნებულ და შემუშავებულ მეთოდოლოგიას, რომლის შედეგადაც მიიღება პიროვნებაზე ორიენტირებული საადმზრდელო-შემოქმედებითი პროცესი.

აქვე მკაფიოდაა განსაზღვრული სათეატრო ხელოვნების როლი და მნიშვნელობა მოზარდის ზნეობრივი აღზრდის, შემოქმედებითი განვითარებისა და სოციალიზაციის საქმეში. გაშუქებულია ის ამოცანები, რაც აღნიშნულ პროცესში გულისხმობს ანალიტიკური/კრიტიკული აზროვნების, ემოციური განათლებისა და მორალურ-ეთიკური განვითარების, შემეცნებითი აღქმისა და ესთეტიკური აღზრდის ფორმირებათა ჭრილში ეროვნული იდენტობის, ცოდნის, უნარ-ჩვევების, ღირებულებითი და სოციალური კომპეტენციების გაუმჯობესებას. აღნიშნულია, რომ პროცესი, კვლევისა და გამოცდილების შესწავლის საფუძველზე შემუშავებული მეთოდოლოგიის გზით ხორციელდება.

ხაზგასმულია, რომ მეცნიერებისა და ხელოვნების ძალთა ერთიანობით განსაკუთრებულად პოზიტიური შედეგების მისაღწევად, ინტერდისციპლინურ საგანთა იმგვარი დაჯგუფება, რა სახითაც ის ნაშრომშია წარმოდგენილი, მოზარდს საზოგადოებრივ ცნობიერებაში ჩართვასა და მისი ინდივიდუალური აქტივობის მოწესრიგებაში ეხმარება, რაც თანამედროვე სოციალური პიროვნებისთვის მნიშვნელოვან პროცესადაა შეფასებული.

პირველი თავი: ნაშრომის ამ თავში წარმოჩენილია მხატვრულ-შემოქმედებით პროცესში, მოზარდის მონაწილეობის პედაგოგიურ-ფსიქოლოგიური ასპექტები“, განსაზღვრულია აღზრდის ამოცანა, რომელშიც ორ ფუნდამენტურ მდგენელადაა გამოკვეთილი სწავლების საგნის შესწავლა და იმის შესწავლა, თუ ვინ სწავლობს საგანს, რაც წინამდებარე კვლევაში საგანგებო მნიშვნელობას იძენს. მის კვალდაკვალ, გაშუქებულია პედაგოგ-რეჟისორის განსაკუთრებული როლი მოზარდის შემოქმედებითი განვითარებისა და მისი სოციალიზაციის მიზნით დაგეგმილ პროცესში. განხილვის საგანს წარმოადგენს ის მნიშვნელოვანი მეთოდები და კვლევისას შემუშავებული სტრატეგიები, რაც პროცესს პიროვნებაზე ორიენტირებულს ხდის და რაც შეგირდებთან ურთიერთობისას უნდა იქნას გამოყენებული. ხაზგასმულია, რომ მხოლოდ პიროვნებაზე ორიენტირებული პედაგოგიკა შეასრულებს იმ სოციალურ ფუნქციას, რაც მას სასწავლო-შემოქმედებითი მუშაობის პრაქტიკასთან მიმართებაში ეკისრება.

განმარტებულია, რომ შემოქმედებითი პედაგოგიკა ეფუძნება და წარმოადგენს სამსახიობო ხელოვნებასთან კორელაციაში მოყვანილი ფილოსოფიის, ფსიქოლოგიისა და სხვა მეცნიერებათა მონაცემების გათვალისწინებით აგებულ ინტერდისციპლინური სწავლების პროგრამას, რომელშიც აღზრდის ცნება გონებრივ, ზნეობრივ და ესთეტიკურ მიმართულებათა ღირებულებით ჭრილში განიხილება და ერთ-ერთ უმთავრეს ამოცანად ისახავს სათეატრო ხელოვნების საშუალებით სწავლება, კონკრეტული ინფორმაციის გაგების პარალელურად, ბავშვისათვის აქციოს ამ ინფორმაციის საზოგადოდ გამოყენების შესაძლებლობად. გამოკვეთილია, რომ ამ დროს უდიდეს მნიშვნელობას იძენს სამსახიობო ხელოვნების სპეციფიკური ფორმა, ჯგუფური მუშაობის პრინციპზე დაფუძნებული შემოქმედებითი პროცესი, რომელიც შეგირდებთან თანამშრომლობითი სწავლების მეთოდით უნდა იქნას გაჯერებული. ხაზგასმულია რომ, აღნიშნული სპეციფიკა ბავშვში კოლექტივიზმის განცდისა და გუნდურობის შეგრძნების გამომუშავებას უწყობს ხელს. ეს, თავის მხრივ, განსაზღვრავს და განაპირობებს სოციალური ხასიათის ვერბალიზაციის პროცესს,

რომლის მეშვეობითაც ბავშვს კონკრეტული საქმიანობის გზით აზროვნება უვითარდება, რაც მის შინაგან მონაპოვრად გარდაიქმნება.

ასევე, გამოკვეთილია ის მნიშვნელოვანი ფაქტორები, რომელთა შემოქმედებით საქმიანობაში ასახვა, აღნიშნულ პროცესზე პოზიტიურ გავლენას ახდენს. მათ შორისაა ჯანსაღი კონკურენტული გარემოს შექმნის აუცილებლობა; ბავშვთან ურთიერთობისას მისი პიროვნებისა და მოთხოვნილებების შეცნობა-შესწავლა; პროცესის საინტერესო და მრავალფეროვანი შემოქმედებითი გამოწვევებით უზრუნველყოფა მოზარდში საგნისადმი ინტერესის გამოწვევის მიზნით.

აქვე ხაზგასმულია, რომ მოზარდში გაჩენილი ინტერესის ხანგრძლივობა დამოკიდებულია პედაგოგ-რეჟისორის პროფესიონალიზმსა და შემოქმედებით უნარებზე. ასევე, გაანალიზებულია, თუ რაოდენ დიდი წვლილი შეაქვს სათეატრო თამაშებს ბავშვის შემოქმედებითი განვითარებისა და სოციალიზაციის პროცესში. რაოდენ დიდ როლს ასრულებს ამ თამაშების სინთეზური ფორმა, რომელიც მოზარდში კომპლექსურად ახდენს მოქმედებისა და გონებრივი განვითარების სტიმულირებას. თეატრალური თამაშები ასევე განხილულია სოციალურ ურთიერთობათა და აქტივობათა მოდელირებულ ფორმებად, რაც სასურველი ქცევის ჩამოყალიბების, პიროვნების ტრანსფორმაციის, მისი ინდივიდუალური აქტივობის მოწესრიგებისა და სოციალური რეკონსტრუქციის სანდო და ეფექტურ გზად გვევლინება, რომლის განხორციელების მექანიზმები, წინამდებარე ნაშრომში, სასწავლო-შემოქმედებით პროცესში შემუშავებული მეთოდოლოგიის სახითაა წარმოდგენილი.

ნაშრომში, ასევე, განხილულია საზოგადოებრივ-კულტურული შესაბამისობის პრინციპები. განმარტებულია კულტურის ცნება, როგორც ეროვნული იდენტობის შინაარსი. გაშუქებულია განათლების კონცეფცია, ასევე განათლებისა და კულტურის სინქრონიზაციის პროცესი, რაც უზრუნველყოფს ადამიანში ღირებულებათა ათვისების შესაძლებლობას.

აქვე, განმარტებულია საზოგადოების ცნება; გამოკვეთილია ერის ინდივიდუალური ამოცანა, რომლის შესრულება წარმოადგენს ზნეობრივ ამოცანას ეროვნული თვითმყოფობის გამომუშავების პროცესში, რაც კიდევ ერთხელ ცხადყოფს და ადასტურებს, რომ საგანგებო მნიშვნელობას იძენს მოზარდის ზნეობრივი და სოციალური განვითარების ფაქტორი. ეს კი, თავის მხრივ, განსაკუთრებულ მნიშვნელობას სძენს პრინციპს, რომლის თანახმადაც სათეატრო ხელოვნების მიმართულებით დაგეგმილ შემოქმედებით პროცესში, სიღრმისეულად უნდა იქნას წარმოჩენილი და ასახული XXI საუკუნეში სოციალური განვითარების კონტექსტში პრიორიტეტებად ქცეული ღირებულებათა ის ნაკადი, რომელიც ორიენტირდება სულიერ და მატერიალურ ღირებულებათა კონცეფტებზე.

ნაშრომის ამ ნაწილში ასახულია მსჯელობა, რომელიც ეფუძნება მაქს ვებერის სოციალურ მოქმედებათა თეორიას. ამ მსჯელობაში სათეატრო ხელოვნება წარმოჩენილია არა როგორც სხვა თვალსაზრისთა დასაბუთების ან დაფუძნების საშუალება, არამედ, იგი თავად არის სისტემური კვლევის საგანი, როგორც ინოვაციური მოდუსების ინტეგრირების საშუალება. აღნიშნულ მსჯელობაში გამოკვეთილი მისი ფუძემდებლური პრინციპების თვისებრიობა კიდევ ერთხელ ცხადყოფს და ადასტურებს, რომ სათეატრო ხელოვნება რეალურად წარმოადგენს მოზარდის სოციალიზაციისათვის ერთ-ერთ ყველაზე სანდო და ეფექტურ გზას.

აქვე, შემოთავაზებულია სხვადასხვა შემოქმედებითი მოდელი, რომლებშიც შერწყმული და ასახულია ის ღირებულებითი ასპექტები, რაც მოზარდს ხელს უწყობს და ეხმარება, რათა მეტად გაიხსნას, ადაპტირდეს სოციალურ ურთიერთობებში, ჩამოუყალიბდეს ერთიანი შეხედულება ღირებულებათა მიმართებით; აღმოაჩინოს და მოახდინოს საკუთარი თავის რეალიზება, შედეგად, ჩამოყალიბდეს თანამედროვე სოციალური კულტურის მნიშვნელოვან ნაწილად და გააგრძელოს საკუთარი ერის განვითარება ისტორიული რეალობის შექმნის პროცესში.

აღნიშნულ პროცესში უდიდეს მნიშვნელობას იძენს მოზარდის მორალური, ანალიტიკური და ემოციური განვითარება. ამ ჭრილში სუბსტანცირებული ზოგიერთი

ასპექტის თეატრალურ ეტიუდებსა და სავარჯიშოებში ასახვა და მათზე დაფუძნებული შემოქმედებითი მოდელების შექმნა, მოზარდში ხელს უწყობს იმგვარი უნარ-ჩვევების განვითარებას, როგორცაა ასტერულობა, მეტაკოგნიცია და სოციალური კოგნიცია, რაც საგანგებო მნიშვნელობას იძენს, რადგან, სოციალური თეორიების თანახმად, თუკი ინდივიდმა აღნიშნული ასპექტების გარკვეული ნაწილი დაძლია, იგი თავის კულტურაში სოციალიზებულად მიიჩნევა. ეს განსაზღვრება წინამდებარე ნაშრომისათვის განსაკუთრებული დატვირთვის მატარებელია, რადგან აქ წარმოდგენილი მეთოდოლოგია, როგორც მოზარდის ზნეობრივი აღზრდის, შემოქმედებითი განვითარებისა და სოციალიზაციის გზა, სათეატრო ხელოვნებისა და მსახიობის შემოქმედებითი პედაგოგიკის საშუალებით, სავარჯიშოებში, ეტიუდებში, პერფორმანსებსა თუ სპექტაკლებში ასახავს და ანხორციელებს იმ მიზნებსა და ამოცანებს, რაც მოზარდს ხელს უწყობს საზოგადოებაში თავის დასამკვიდრებლად აღიჭურვოს იმავე ცოდნითა და უნარ-ჩვევებით, რომელიც პიროვნების სოციალიზაციის ჭრილში წარმოადგენს ზემოთ აღნიშნულ სოციალურ თეორიათა ფუძემდებლურ პრინციპებს.

ნაშრომის ამ ნაწილშიც მკაფიოდ წარმოჩინდა ის, რომ სათეატრო ხელოვნების სპეციფიკა თავის თავში ასახავს, იმეორებს და აერთიანებს როგორც ანალიტიკური აზროვნების სპეციფიკათა კონცეფტებს, ასევე, ემოციური განათლებისა და მორალური განვითარებისათვის მნიშვნელოვან ფორმათა და შინაარსთა შემოქმედებით ასპექტებს, რაც მოზარდის კომპლექსურად განვითარების პროცესს იმდენად პროგრესირებადსა და ეფექტურს ხდის, რომ მას ამ პროცესში, ასევე, უყალიბდება ისეთი სოციალური განცდა, როგორცაა ემპათია. განვითარების ამგვარი სტრატეგია და შინაარსი, მოზარდში ამაღლებს თვითშეგნებას, რაც, თავის მხრივ, პასუხისმგებლობის გამომუშავებას უწყობს ხელს და პიროვნული ღირსების გრძნობას აყალიბებს. ეს კი, უკვე, აქტიური სოციალიზაციის პროცესს წარმოადგენს, რაც ემოციური რეგულაციის პროცესსაც მოიცავს. ემოციური რეგულაციის უნარი კი ემოციური ინტელექტის განმსაზღვრელია, რაც, თავის მხრივ, ანვითარებს ემოციურ კომპეტენციას.

ამრიგად, მოზარდის „ემოციური განათლებისა“ და განვითარების კონტექსტში, თეატრალური ეტიუდები და სავარჯიშოები, საუკეთესო საშუალებაა, რადგან ეს უკანასკნელნი, წარმოადგენენ თამაშის გაცნობიერებულ, მიზანმიმართულ, სოციალური მოქმედების პროცესს. მათში აბსორბირდება თითქმის ყველა სახის ემოცია, შეიცავენ როგორც სენსორულ და მოტორულ, ასევე ფსიქიკური თამაშების კატეგორიებს, რომელშიც ანალიტიკური, მორალური და ემოციური განვითარების ასპექტთა კორელაცია, როგორც ინტელექტუალურისა და ფსიქიკურის სინერგია, წარმოადგენს სამსახიობო ხელოვნების შემოქმედებით პლათფორმას.

ნაშრომის ამ ნაწილში, თვალსაჩინოებისთვის წარმოდგენილი და დეტალურად განხილულია პერფორმანსის აგების პრინციპი. განმარტებულია ჟანრის არსობრივი მნიშვნელობა; პერფორმანსში მოქმედ მხატვრულ სახეთა კოლაჟის შედგენისა და პერსონაჟთა დახასიათების შეთხზვის პრინციპი; დრამატურგიაში დადგენილი კლასიკური სქემით ხელმძღვანელობის პრინციპი; გაშუქებულია ექსპოზიციის როლი და მნიშვნელობა, ახსნილია, აღნიშნულ ფორმატში თუ რა ხერხებით ხდება სამოქალაქო განვითარების მიმართულებიდან გარკვეულ ცნებათა მოხმობა, მოცემულ ვითარებაში ასახვა და თეატრალურ თამაშში ინპლემენტირება.

გაშუქებულია მორალური დილემისა და სამსახიობო ხელოვნების უმთავრესი ელემენტის-ურთიერთქმედების კონგლომერატი. მორალური დილემა ეტიუდისათვის წარმოდგენილია როგორც აქტიური მოქმედების გამომწვევი საშუალება, მაპროვოცირებელი მოვლენა, კონფლიქტის მარცვალი. აღნიშნულია, რომ მის საფუძველზე წარმოქმნილი აქტიური ქმედება, ანუ ბრძოლა მოცემული სცენური ამოცანის საკუთარი სურვილისა და შეხედულებისამებრ გადასაწყვეტად, მოზარდში ანვითარებს გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების უნარს, რაც თავის მხრივ, ასტიმულირებს გონებას და მიყავს საკმაოდ დიდ თვითკონტროლირებად ქცევამდე.

წარმოდგენილია მორალური დილემების აგების პრინციპი, რა გზითაც შესაძლებელი ხდება, თეატრალურ თამაშში მოზარდმა ასევე გაიაროს კათარზისის

გზა. აქვე ახსნილია, თუ რა მეთოდით უნდა განხორციელდეს მოზარდის მორალური განვითარების პროცესზე მონიტორინგი.

გაშუქებულია წარმოსახვის ფაქტორი და მისი მნიშვნელობა, რაც, თავის მხრივ, ხელს უწყობს ყურადღების კონცენტრაციის უნარის წვრთნას. ყურადღებისა და წარმოსახვის უნარების გასავითარებლად, წარმოდგენილია სპეციალური სავარჯიშოები. სტრუქტურირებულია მასში მონაწილეთათვის დასასმელი სარეკომენდაციო კითხვები. მოხმობილია მაგალითები და განმარტებულია, თუ როგორ უნდა მოხდეს სავარჯიშოს სხვადასხვა საფეხურზე მოცემული ვითარებითა და მაგიური „თუ რომ“-ს მეშვეობით მათი გამდიდრება. კვლევის შედეგებში ფიქსირდება, რომ აღნიშნული პროცესი მოზარდში იწვევს წარმოსახვის მართვისა და ორგანიზების უნარის განვითარების შესაძლებლობას, რაც, თავის მხრივ, ინტელექტუალური პროცესების მართვას უწყობს ხელს და ემოციური ინტელექტის გამომუშავების განმაპირობებელია.

ასევე, წარმოდგენილია შემოქმედებითი კოლაბორაცია, რომელიც აშუქებს სახვითი ხელოვნების ნიმუშებისა თუ კინოკადრების მიზანკადრებად გამოყენების მეთოდს თეატრალურ ეტიუდებსა და სავარჯიშოებში. მასში მოზარდი პოზიციონირებს როგორც შემოქმედებითი პროცესის ორგანიზატორი, რომელიც თავიდან ბოლომდე კიდევაც ამზადებს, კიდევაც ქმნის და კიდევაც წარმართავს აღნიშნულ პროცესს, რაც მისთვის საგანგებო მნიშვნელობას იძენს როგორც პიროვნული, ასევე სოციალური განვითარების კუთხით. იგი ხვდება კრეატიული გამოწვევების ველში; აკეთებს მისთვის საინტერესო აღმოჩენებს; მის შემეცნებაში ხდება სათეატრო ხელოვნების სინთეზურობის დიფერენცირება და მასში შემავალ ცალკეულ კომპონენტთა თვისებრივი აღქმა. ეს მას ბიძგს აძლევს პრობლემის განსხვავებული ხედვისა და აზროვნების ორიგინალურ შრეებში წარმართვისაკენ, რათა შედეგად ახლის შექმნის უნარი გამოიმუშაოს.

ნაშრომის ამ ნაწილში განხილულია შემოქმედებითი პროცესის სტრუქტურა; გამოკვეთილია მისი სპეციფიკური მხარეები, ძირითადი ასპექტები, მნიშვნელოვანი

შტრიხები და მიმართებები; განხორციელების გზები და ხერხები; რაც, ამავე დროს, სამსახიობო ხელოვნების ძირითადი ელემენტების მრავალფეროვანი და მრავალმხრივი კონფიგურაციით მიწოდების შესაძლებლობას ქმნის. თავად ნახატის ფაქტორი ეტიუდში წარმოდგენილია როგორც უმთავრესი მიზანკადრი. ამასთანავე, გაშუქებულია ზოგადფსიქოლოგიური ასპექტები, მათ შორის, თუ რა ეტაპებს გადის მოზარდი შემოქმედებითი მუშაობისას, თუ როგორ იწყებს საკუთარ წარმოსახვაში მიზანკადრის მიხედვით ფანტაზიის რეპროდუქტირებას, თუ როგორ მოყავს მასთან ლოგიკურ შესაბამისობაში მოვლენები და როგორ ქმნის ერთ მთლიან ამბავს, რაც, ასევე ხელს უწყობს წარმოსახვის მართვის უნარის გამომუშავებაში.

კვლევაში ხაზგასმულია, რომ ნახატების ამგვარი სახით გამოყენების რელევანტურობას, მათ შორის, განაპირობებს ხატოვანი აზროვნება, რომელიც გაბატონებულია ადრეული და საშუალო ასაკის მოზარდებში. ეს კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს სასწავლო-შემოქმედებით პროცესში პედაგოგ-რეჟისორის მსოფლმხედველობრივი აზროვნების მნიშვნელოვნებას, რადგან მან უნდა უზიარდოს მოზარდს ნახატებზე გამოსახული მოვლენების სოციალური კუთხით აღქმაში, მორალურ ჭრილში გააზრებასა და გარკვეული მოქალაქეობრივი თვალსაზრისის ჩამოყალიბებაში.

ამასთანავე, საგანგებო მნიშვნელობა ენიჭება სასცენო მოქმედების აგების პრინციპს, რაც მოცემულ ეტაპზე განხილულია არა მხოლოდ ეტიუდის აგების ჭრილში, არამედ გაშუქებულია როგორც სოციალური მოქმედების გააზრების, დაგეგმვისა და განხორციელების მნიშვნელოვან სტრატეგიად. ახსნილია, თეატრალური თამაშის საშუალებით თუ როგორ უნდა შედგეს მისი, როგორც სოციალური მოქმედების დასწავლის პროცესი.

განმარტებულია, თუ როგორ უნდა წარიმართოს მსჯელობა რამდენიმე შინაარსს შორის მიმართების დამყარებისა და მასში მაგიური „თუ-რომ“-ს დომინირების პრინციპით. როგორ შეიძლება მოხდეს სიტუაციათა მონაცვლეობა, რაც მოზარდს როლური თამაშის პროცესში მოცემულ ვითარებათა წარმოსახვას

უადვილებს და მასში ბუნებრივი გზით იწვევს შესაფერისი მოქმედების იმპულსის აღმოცენებას, რაც, თავის მხრივ, განწყობათა ორგანულად მონაცვლეობას უწყობს ხელს. ხაზგასმულია, რომ ეს პროცესი მეტად ფაქიზია, რაც უდიდესი პასუხისმგებლობით მიდგომას საჭიროებს. აღნიშნულია, რომ მსჯელობა იგება ამბეზზე, რომელთა შინაარსში ტოლერანტობის, ემპათიისა თუ სხვა ღირებულებითი ასპექტები, მორალური დილემების სახით, იდეოლოგიურ საფუძვლებადაა წარმოდგენილი, რასაც მოზარდი თამაშში აცოცხლებს, რა დროსაც, სამართლიანობისა და სიკეთის გამარჯვებით გამოწვეული განცდითა და მისი ემოციური მეხსიერების ამგვარი ავსებით წარიმართება მისი ზნეობრივი აღზრდის პროცესი, რაც მოზარდის სოციალიზაციისა და ჰარმონიული განვითარებისთვის მნიშვნელოვანია. ამასთანავე განმარტებულია, გარკვეულ მიმართებათა ამგვარი კონცენტრაცია თუ როგორ ემნის მიზანშეწონილ პროსპექტს, რომელშიც ის ასევე გადის კათარზისის გზას.

ნაშრომში ასევე განხილულია სცენური კონფლიქტის ფაქტორი, როგორც მოზარდის სოციალიზაციის პროცესის წარმოების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და ეფექტური საშუალება. გაშუქებულია ეტიუდებში სხვადასხვა სახის კონფლიქტების მოდელირების ფსიქოლოგიური მნიშვნელობა. კვლევაში, მისი შედეგები განიხილება როგორც ემოციური გამოცდილება, რაც განაპირობებს მართულ, დაბალანსებულ, გააზრებულ ქცევასა და განვითარებულ ემოციურ ინტელექტს.

შემოთავაზებულია მექანიზმი, თუ როგორ შეიძლება იქცეს თეატრალური ეტიუდი მოზარდის ლინგვისტური განვითარების წყაროდ. აღნიშნულია, რომ შემოქმედებით პროცესში ამგვარი ხერხების გამოყენება, ასევე იწვევს მოზარდის გონებრივი შესაძლებლობების სტიმულირებას.

მოზარდის შემოქმედებითი განვითარებისა და სოციალიზაციის სტიმულირებისთვის, ასევე, გაშუქებულია „სხვა რაკურსის“ როლი და მნიშვნელობა. ხაზგასმულია, რომ მაყურებლებთან დამყარებული უშუალო კავშირი და ინტერაქციული პროცესის მართვა, მისთვის განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს, რადგან ხელს უწყობს მასში ლიდერული თვისებების წარმოქმნას და წარმოჩენას;

უნვითარებს მოვლენათა და ფაქტების აღქმის სიღრმესა და მრავალმხრივობას; პრობლემური სიტუაციების მართვის და დაძლევის უნარებს. უზრუნველყოფს მისი ვერბალური აზროვნების მოქნილობას, სისხარტესა და კულტურას. ხელს უწყობს საზოგადოებასთან ურთიერთობისათვის საჭირო უნარ-ჩვევების გამომუშავებასა და მასში ახდენს ეთიკურ მიმართებათა გამნტკიცებას.

მეორე თავში, „სოციალურ აქტივობათა ინტერპრეტაცია და თეატრალურ თამაშებად მოდიფიკაცია-ვარიაცია“, სტრუქტურირებული და გაშუქებულია რამდენიმე პრაქტიკული მაგალითი. მათ შორისაა მოდელირებული სასამართლო, როგორც სოციალური თამაშების ერთ-ერთი სახეობა, რომლის ამგვარი ფორმით გამოიყენება გამართლებულია მისი სპეციფიკური აგებულებიდან გამომდინარე. ის თავისთავად არსში შეიცავს მისთვის დამახასიათებელ იმგვარ სპეციფიკურ სქემებს, რაც შემოქმედებით პროცესში მოქმედება-კონტრმოქმედებების სტრუქტურას ანვითარებს, ბადებს სცენურ ურთიერთობას და ქმნის მრავალმხრივი ინტერპრეტაციის საშუალებას.

რადგან სასამართლო პროცესში ლოგიკა ისეა აგებული, რომ იძლევა თვითშემეცნების, ობიექტური თვითშეფასების, ძიებითი უნარების გამომუშავების შესაძლებლობას, ამდენად, ამ დროს მოზარდში აქტიურდება კონკრეტული ამოცანის გადალახვისათვის მიზანმიმართული საბრძოლო მოტივაცია, რომლის პერიოდში მას უყალიბდება გადაწყვეტილებების დამოუკიდებლად მიღების როგორც სურვილი, ასევე უმუშავდება მათი დაძლევის უნარიც. განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს, როდესაც მოზარდი მსახიობის ოსტატობის ელემენტების დახმარებით, სწავლობს მიზნის მისაღწევად განსხვავებული გზების ძიებასა და შესაფერისის ამორჩევას; სავალდებულო კითხვების დასმას; რწმუნდება, რომ მისი იდეა და მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება ღირებულია; რომ წარუმატებლობის შემთხვევაში შეუპოვრობა მნიშვნელოვანია; ამ პროცესში მას უხდება ინფორმაციის ძიება, უცნობი ფაქტების ობიექტური ანალიზი და შეფასება; განსხვავებული თვალსაზრისების გათვალისწინება; არასტანდარტულ სიტუაციებში მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების

მიღება. ამ დროს, მოზარდში ხდება საკუთარი ემოციის მართვის უნარის გამომუშავებაც, რაც ადამიანისათვის ეგზისტენციალურად მნიშვნელოვანი პროცესია, რომელიც საკუთარი თავის მართვის სუბსტანციასა და, ზემოთ მოყვანილ ასპექტებთან კორელაციით, აქტიური სოციალიზაციის პროცესს წარმოადგენს.

სასამართლოს ფორმატი იმგვარი თემების გაშლის შესაძლებლობას იძლევა, რაც მოზარდს მორალურ-ეთიკური, ზნეობრივი, ჰუმანური, ტოლერანტული კუთხით უხსნის მსოფლმხედველობრივ აზროვნებას, ეხმარება აუმაღლდეს თვითშეგნება, ჩამოუყალიბდეს მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობა, რაც, შემოქმედებითი გზით, როგორც სინამდვილის შემეცნება და სოციალურ ჩვევათა ჩამოყალიბებისა და განმტკიცების ერთ-ერთი საუკეთესო საშუალება, შესაძლოა, ასევე, მოზარდებში გახშირებული ძალადობის თავიდან აცილების ერთგვარ პრევენციად იქცეს.

აღნიშნულ ფორმატში მუშაობა ასევე კომფორტულია შემოქმედებითი პროცესის მოდერატორისთვის, რადგან მასში როლების რაოდენობა არ არის შეზღუდული, რაც პედაგოგ-რეჟისორს შემოქმედებით პროცესში აძლევს თავისუფლების მეტ საშუალებას, რათა პერსონაჟთა სახეები საკუთარი შეხედულებისამებრ, იმგვარად შეთხზას და განსაზღვროს, რომ ეტიუდში მთელი ჯგუფის ჩართვა გახადოს შესაძლებელი. ჯგუფის ამგვარი მეთოდით ინტეგრაცია-კონსოლიდაცია, სასწავლო-შემოქმედებით პროცესს ბევრად ეფექტურს ხდის, ამ დროს გუნდურობის პრინციპების დაცვა და შედეგებზე პასუხისმგებლობა ყველა ბავშვზე თანაბრად ნაწილდება. ეს მოზარდში იწვევს პოზიტიურ განწყობას, ასევე, ანვითარებს სოლიდარობის, ღირსებისა და სრულფასოვნების განცდას, ხელს უწყობს მათთვის გასაძვირებელ ჩამოყალიბებას, რაც სოციალიზაციის პროცესის ერთ-ერთი უმთავრესი ნიშანია.

ნაშრომის ამ ნაწილში, პრაქტიკული მაგალითის სახით, ასევე გაშუქებულია პროექტის სპეციფიკის, მისი სათეატრო ხელოვნების ელემენტებთან კორელაციისა და შემოქმედებით პროცესში ასახვის მეთოდი, რომელიც წარმოადგენს სათეატრო ხელოვნების ესთეტიკურად განმტკიცებული აქტივობებისა და ცოდნის ძიებაზე და

უნარ-ჩვევების განმტკიცებაზე მიმართული აქტივობების კორელატს. ხაზგასმულია, რომ აღნიშნული ფორმატი, როგორც ჩარჩოებს მიღმა სააზროვნო პროცესი, მოზარდში ლოგიკური და მოქნილი აზროვნების უნარების გამომუშავების ეფექტური გზაა.

შემოქმედებით პროექტზე მუშაობის პროცესში, სათეატრო ხელოვნების სპეციფიკის საშუალებით, მოზარდები უშუალო შემხებლობაში მოდიან და ეცნობიან კოოპერატიული მუშაობის ორგანიზებისათვის საჭირო ასპექტებსა და მექანიზმებს, მისი დემოკრატიული მართვის პრინციპებს, რასაც თავადვე ანხორციელებენ კოლაბორაციული შემოქმედებითი საქმიანობის ფორმატში. აღნიშნული პროცესის შედეგად მოზარდში ხდება შემოქმედებითი ქცევისა და ეთიკის ნორმების სოციალური განმტკიცება; კრეატიულობის აქტუალიზება, სტიმულირება; შემეცნებითი, სოციალური, გონებრივ ფასეულობათა და შრომითი კომპეტენციების ფორმირება; ზოგადკულტურული და პიროვნული კომპეტენციების სრულყოფის ფორმირება. ასევე, ე.წ. პროექტის კოლაბორაციული მეთოდით შემოქმედებითი მუშაობის კონტექსტი, მოზარდთათვის წარმოადგენს ერთგვარ გზამკვლევს ღირებულებათა კომპეტენციების ფორმირების ჭრილში და ხელს უწყობს მათში მოტივაციის ამაღლებასა და წარმატების მიღწევის დომინანტურ განწყობად ჩამოყალიბებას.

ასევე, წარმოდგენილია საგანგებოდ შემუშავებული მეთოდი, რომელიც იყენებს ისეთ მნიშვნელოვან ასპექტებს, როგორცაა გარეგანი აქტივობის აზრით განმსჭვალვა, ფიზიკური შრომის განსულიერება, არაბანალური გზით გაკვეთილის საინტერესოდ ქცევა, ინტელექტუალური შრომის გაცოცხლება. აღნიშნული მეთოდი მოზარდთან მუშაობისას განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს, რადგან ის ეფუძნება ფარული ფსიქოლოგიური ჟესტის ხილულად გარდაქმნის პრინციპს, რომლის გარკვეულ სცენურ ფერთან შერწყმა და გამოყენება, როგორც ცნობილია, ხელს უწყობს საკუთარი გრძნობების გამოღვიძებას. მეტყველებას ანიჭებს ძალას, გამომსახველობას, სილამაზესა და ცხოველმყოფელობას; სიტყვაში აღვიძებს გრძნობებს, ემოციებს, შემოქმედებით იმპულსებს. ამ თვისებრიობათა კორელატმა, თავის მხრივ განსაზღვრა

და ბიძგი მისცა, რათა მოზარდებთან შემოქმედებით პროცესში შემუშავებულიყო ლიტერატურული ტექსტის, პლასტიკის, პანტომიმისა და სხვადასხვა ქორეოგრაფიულ მიმდინარეობათა და ჟანრთა კოლაბორაციული სინთეზი, რომლის კვალდაკვალ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი როლი, ასევე დიდი სიზუსტითა და გემოვნებით შერჩეულ მუსიკალურ მასალას მიენიჭა. ამ გზით, მოზარდთათვის შემუშავდა და შეიქმნა ოდნავ რთული, მაგრამ საინტერესო სახის თეატრალური თამაში, რომელმაც მათთვის ახალი ჰორიზონტი წარმოქმნა, რადგან მიიღო სწორედ ის ფორმა და შექმნა სწორედ ის გზა, რომლითაც მოზარდს შესაძლებლობა მიეცა თავის თავში, სულიერ სფეროში ფარულად განცდილი გარდაექმნა ხილულად.

შემოქმედებით პროცესში ნათლად გამოიკვეთა, რომ ამგვარი სინთეზი და კოლაბორაცია მოზარდს უაქტიურებს შემოქმედებით იმპულსებს, რადგან ბუნებრივად აღწევს მისი სულის სიღრმეში, რა დროსაც ის შემოქმედებითად იხსნება, საკუთარი პერსონაჟის სულიერი სამყაროს წვდომა უიოლდება, მისადმი თანაგრძნობის განცდა უჩნდება, რაც მას უფრო ემპათიურსა და სოციალურს ხდის.

ნაშრომში, მომდევნო ეტაპზე წარმოდგენილი სასწავლო-შემოქმედებითი მოდელი ასახავს მსახიობის ოსტატობის გაკვეთილებზე ანალიტიკური აზროვნების, მორალური განვითარებისა და ემოციური განათლების ასპექტთა კოლაბორაციას, რომელთა კორელატი წარმოადგენს თეატრალური ეტიუდითა და სოციალური თამაშით დასწავლის შემოქმედებით სუბსტანციას. მის თემად, ამჯერად წარმოჩენილი და გაშუქებულია კონცეპტი „ოცნება“, რაც ემსახურება მოზარდის მიერ ოცნების შინაარსის ამბივალენტურობის გააზრებას, რასაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება, მათ შორის, მოზარდის ფსიქოემოციური მდგრადობისა და სტაბილურობის კუთხით.

საგანგებო მნიშვნელობას იძენს, მსახიობის ოსტატობის გაკვეთილებზე, თამაშით დასწავლისას, საკუთრივ მიღებული გამოცდილების საფუძველზე წარმოებული ოცნების ამბივალენტურობის გააზრების პროცესი, რა დროსაც, მოზარდის მიერ ხდება მისი თვისობრიობის შემეცნებითი აღქმა, რაც, ასევე,

გულისხმობს მისი ეტაპობრივად დაგეგმვის, რაციონალურად და მიზანდასახულად განხორციელების პრინციპის დასწავლას, რომლის შესაბამისად, მოზარდში მიმდინარეობს კოგნიტური განვითარებისა და სოციალური ფორმაციის პროცესი.

აღნიშნულ პროცესში, ერთ-ერთ უმთავრეს ფაქტორად გამოკვეთილია მოცემული ვითარების კონცეფცია, გაშუქებულია მისი სპეციფიკურობა. ამასთანავე, მოზარდის მორალური, ემოციური და შემოქმედებითი განვითარების მიმართებათა ჭრილში, ის წარმოდგენილია როგორც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი.

ნაშრომის ამავე ნაწილში, აღწერილი და სტრუქტურირებულია პერფორმანსისათვის ორიგინალური ფაბულის შექმნის მექანიზმი. განხილულია თეატრალური ეტიუდის ფაქტორი, რომელიც უნდა შეიცავდეს ზუსტად განსაზღვრულ ღირებულებით იდეას, რაც მოზარდს უნდა დაეხმაროს ზნეობრივი მსოფლმხედველობის ფორმირებაში, რითიც ეტიუდი იძენს უდიდეს აღმზრდელობით დატვირთვასა და მნიშვნელობას.

ასევე, მოცემულ ეტაპზე, ეტიუდებზე მუშაობისას, საგანგებო მნიშვნელობას იძენს კადრირების პრინციპის გამოყენება. გაშუქებული და განმარტებულია შემოქმედებით პროცესში ამ მეთოდის ასახვის მექანიზმები. წარმოდგენილი და განხილულია არაერთი არგუმენტი, რაც ხაზს უსვამს და ადასტურებს მოზარდში შემოქმედებითი წარმოსახვის განვითარებისათვის, სურათების კვლევა-შესწავლის პროცესის განსაკუთრებულ როლსა და მნიშვნელობას. აღნიშნულ პროცესში, ისევ და ისევ გამოკვეთილია პედაგოგ-რეჟისორის როლი, რომელმაც მოზარდში უნდა გაზარდოს მოტივაციის ხარისხი, ბიძგი მისცეს მისი შემოქმედებითობის განვითარებას, ხელი შეუწყოს მის შემოქმედებით აღმაფრენას.

მესამე თავში ასახულია აღსაზრდელებთან სხვადასხვა თემაზე განხორციელებული აქტივობები. საგანგებო მნიშვნელობას იძენს მასში დეტალურად ახსნილი და აღწერილი მასალა, რომელიც წარმოაჩენს, თუ რა და როგორ ხორციელდება შეგირდებთან მოსამზადებელ პერიოდში სპექტაკლზე მუშაობის დაწყებამდე. შემოქმედებითი პროცესი სრულად გაჯერებულია მიზნობრივად

შერჩეული და სამსახიობო ხელოვნების საბაზისო სავარჯიშოებზე დაფუძნებული კოლაბორაციებით, რაც მოზარდისათვის წარმოადგენს მოსამზადებელ ეტაპს, რათა უკვე სპექტაკლზე მუშაობის პროცესში გონივრულად, გააზრებულად შეეჭიდოს მისი შემოქმედებითი განვითარებისა და სოციალიზაციისათვის ეგზისტენციალურად მნიშვნელოვან და საჭირო მასალას.

მეოთხე თავში წარმოდგენილია თეორიული კვლევის პროცესში ჩატარებული სოციოლოგიური გამოკითხვის ანალიზი, რომლის მიზანიც ექსპერიმენტული მუშაობისას მიღწეული შედეგების შეფასება გახლდათ. განმარტებულია, რომ სოციოლოგიური გამოკითხვა გენერალური ერთობლიობის წევრებისაგან შემდგარ ფოკუს-ჯგუფებში ჩატარდა: სტუდიის კურსდამთავრებულებთან, სტუდიელების მშობლებთან, სტუდიის შემოქმედებითი გუნდის პედაგოგებთან, სხვა რესპოდენტებთან.

მათგან მოპოვებული ინფორმაცია ადასტურებს განხორციელებული შემოქმედებითი საქმიანობისა თუ თეორიული კვლევისას მიღებული შედეგების მნიშვნელობას. ისინი ერთსულოვანნი არიან სტუდიაში მიმდინარე სასწავლო-შემოქმედებითი პროცესების შეფასებაში, რა დროსაც ერთხმად ასკვნიან, რომ დღეს 21-ე საუკუნეში, მოზარდის სოციალიზაციისათვის, მისი შემოქმედებითი და ემოციური განვითარებისთვის, მასში ეროვნული იდენტობის წარმოჩენისა და მისი ესთეტიკური, მორალურ-ეთიკური და ინტელექტუალური აღზრდისთვის, მეთოდოლოგიის ეს სახეობა და ამ ტიპის სტუდია, რეალურად ქმნის საინტერესო, მნიშვნელოვანი და ყურადსაღები შედეგების მიღწევისათვის კეთილმყოფელ პირობებს.

დასკვნა - ნაშრომის დასკვნით ნაწილში აღნიშნულია, რომ სამსახიობო პედაგოგიკის საბაზისო პროგრამის მიზნობრივი შემუშავება და მოდიფიცირება რეალურად წარმოაჩენს მოზარდის მრავალმხრივი განვითარების საუკეთესო საშუალებას, რაც ექსპერიმენტული და თეორიული კვლევისას მიღებული შედეგების საფუძველზე დადგინდა.

სასწავლო-შემოქმედებით პროცესში, სამსახიობო ხელოვნების გარკვეული ასპექტების ღირებულებით ასპექტებთან ინტერნალიზება, მოზარდში იწვევს ემპათიის უნარის, ტოლერანტული ორიენტაციის, ემოციური განათლებისა და მორალურ-ეთიკური განვითარების, ანალიტიკური/კრიტიკული აზროვნების გამომუშავების, შემეცნებითი აღქმისა და ესთეტიკური აღზრდის ფორმირებას.

ექსპერიმენტული კვლევის შედეგებმა ცხადყო, რომ სათეატრო ხელოვნების სპეციფიკა შესაძლებლობას იძლევა, ასევე წარმატებით იქნას გამოყენებული ერთგვარი არტ-თერაპიის საშუალებად.

ნაშრომის აპრობაცია შედგა 2021 წლის 8 ნოემბერს, საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის სადისერტაციო საბჭოს, თეატრის საშემსრულებლო და თეორიული მიმართულების დარგობრივი სექციის სხდომაზე.

ნაშრომის მოცულობა და სტრუქტურა: ნაშრომი წარმოდგენილია 144 გვერდის ოდენობით. შედგება რეზიუმეს, შესავლის, 4 თავისა და დასკვნისაგან. თან ერთვის გამოყენებული ლიტერატურის სია. ასევე, თანდართული აქვს შემოქმედებით-ვიზუალური მასალა, რომელიც ასახავს სტუდიაში სხვადასხვა ეტაპზე დადგმული ექვსი სხვადასხვა სპექტაკლის ეპიზოდებს.

დისერტაციის ირგვლივ გამოქვეყნებულ ნაშრომთა სია:

1. „შემოქმედებითი პედაგოგიკის ზოგიერთი ასპექტი მოზარდთა ესთეტიკური აღზრდისათვის“, საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი, სახელოვნებო მეცნიერებათა ძიებანი #3-4 (76, 77), გამომცემლობა „კენტავრი“, თბილისი, 2018წ., გვ.: 146;
2. „მხატვრულ-შემოქმედებით პროცესში მოზარდის მონაწილეობის პედაგოგიურ-ფსიქოლოგიური ასპექტები“, საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი, სახელოვნებო მეცნიერებათა ძიებანი #1(78), გამომცემლობა „კენტავრი“, თბილისი. 2019წ., გვ.: 86;

3. „მოზარდის სოციალიზაციისა და ემოციური განვითარების ზოგიერთი ასპექტი“, საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი, სახელოვნებო მეცნიერებათა ძიებანი #2(83), გამომცემლობა „კენტავრი“, თბილისი. 2020წ., გვ.: 111;
4. „მოზარდთა სოციალიზაცია სათეატრო ხელოვნების, როგორც სოციალური არტის გზით“, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ჰუმანიტარულ-მეცნიერებათა ფაკულტეტი, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ჰუმანიტარული მეცნიერებები გლობალიზაციის ეპოქაში“, ქუთაისი, 2019წ., გვ.: 83.